

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

სესხის ნომერი: 2879-GEO
2880-GEO (SF)

ანგარიშგების პერიოდი: იანვარი – ივნისი, 2015

**საქართველო: საქართველოს მდგრადი ურბანული
ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 2**

(აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება)

მოამზადა: ნინო ნადაშვილმა, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა
გარემოს დაცვის და განსახლების სამსახური, მუნიციპალური განვითარების
ფონდი (მგფ), თბილისი, საქართველო

დაამტკიცა: დავით ტაბიძემ, გარემოს დაცვის და განსახლების სამსახურის უფროსმა,
მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ), თბილისი, საქართველო

15 ივლისი, 2014

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
EARF	გარემოსდაცვითი შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EIP	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა
EMP	გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა
EPSM	პროექტირების შესყიდვა და მშენებლობის მართვა
SUTIP	საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა
IEE	საწყისი გარემოსდაცვითი კვლევა
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების სისტემა
SSEMP	გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ობიექტისათვის

სარჩევი

1. I ნაწილი. შესავალი	4
1.1 წინასწარი ინფორმაცია	Error! Bookmark not defined.
1.2 სამშენებლო საქმიანობები და პროექტის მიმდინარეობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	5
1.3 ცვლილებები პროექტის ორგანიზაციაში და გარემოსდაცვითი მართვის გუნდში	6
1.4 ურთიერთობები კონტრაქტორებთან, მფლობელთან, კრედიტორებთან, და ა.შ.	7
2. II ნაწილი. გარემოსდაცვითი მონიტორინგი	9
3. III ნაწილი: გარემოსდაცვითი მართვა	13
3.1 გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ობიექტისათვის (SEMP) და სამუშაოთა გეგმები	13
3.2 ობიექტის ინსპექტირება და აუდიტი.....	16
3.3 კონსულტაცია და საჩივრები	22
3.4 მონიტორინგის მონაცემები.....	Error! Bookmark not defined.
3.5 ტესტების შედეგები	Error! Bookmark not defined.
3.6 ფოტოები.....	Error! Bookmark not defined.

1. I. შესავალი

1.1 წინასწარი ინფორმაცია

პროექტის ფონური ინფორმაცია

საქართველოს ინფრასტრუქტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სატრანსპორტო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა. ამ კუთხით უკანასკნელ წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა და დაფინანსდა. ახლახანს როგორც საქართველოს ბიუჯეტიდან, ისე გრანტებისა და სესხების მეშვეობით რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა.

2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმდა - MFF - მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მე-2-ე ტრანშის სესხი და საპროექტო ხელშეკრულებები. MFF-მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მე-2-ე ტრანში (SUTIP T2) მოიცავს: (i) ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; (ii) ინსტიტუციური შესაძლებლობის გამომუშავებას; და (iii) პროექტის მართვას.

პროგრამა უზრუნველყოფს ეფექტურ, სანდო და ხელმისაწვდომ ურბანულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და მომსახურებას, რისი მეშვეობითაც გაზრდის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს და ურბანული ტიპის დასახლებების კონკურენტუნარიანობას, გააუმჯობესებს 1.5 მილიონი ადამიანის საარსებო საშუალებებს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 35%). პროექტი აგრეთვე: (I) ამ დასახლებებისათვის გააუმჯობესებს ურბანულ გარემოს და ეკონომიკური შესაძლებლობების და კომუნალური და სოციალური სამსახურების ხელმისაწვდომობას; (II) ხელს შეუწყობს ეფექტურ და მდგრად ურბანულ ტრანსპორტირებას; და (III) შექმნის შემოსავლისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

გარემოსდაცვითი კატეგორიზაციის თვალსაზრისით, ტრანში 2 B კატეგორიას განეკუთვნება, რადგანაც ყველა ქვე-პროექტი SUTIP 2 –ის ფარგლებში B კატეგორიაში იყო გაერთიანებული, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ პროექტებს არ ექნება რაიმე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ან მუდმივი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მშენებლობის დროს ან მის შემდგომ და მათთვის საჭირო იქნება საწყისი გარემოსდაცვითი კვლევის (IEE) ჩატარება. ქვეპროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიის განსაზღვრა განხორციელდა ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (2009) გამოყენებით,

საპროექტო არეალი

მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (SUTIP) ტრანში 2 მოიცავს შემდეგ ქვე-პროექტს:

- თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზის მოდერნიზაციის სამშენებლო სამუშაოები I და III მონაკვეთებისათვის.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

ამჟამად თბილისი-რუსთავის გზა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ არტერიას წარმოადგენს, რომელზეც დღეში 17,000 სატრანსპორტო საშუალება გაივლის, რაც აღემატება გზის გამტარუნარიანობას. ამ პრობლემის გადასაჭრელად თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადდა იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ არსებული გზის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტის კატეგორია 1 გზის დონემდე 4-6 საგზაო ზოლით და 120 კმ/სთ საპროექტო სიჩქარით. პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას წარმოადგენს MDF.

საპროექტო გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 17.1 კმ (მონაკვეთის 2 ჩათვლით, რომლის სიგრძეც შეადგენს 6,5კმ). მონაკვეთების 1 და 3 სიგრძე კი შეადგენს 10, 6 კმ-ს.

მონაკვეთი 1: თბილისი – ფონიჭალა პროექტის თანახმად იწყება თბილისში, გულუას ქუჩაზე პიკეტზე 0+00, მიჰყვება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს პიკეტამდე 20+00, შემდგომ უერთდება ვახტანგ გორგასლის ქუჩას და სრულდება პიკეტზე 40+00. ამ მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 4.0 კმ-ს.

მონაკვეთი 3: ფონიჭალა – რუსთავი პროექტის თანახმად ტრასა 6.6კმ სიგრძის მონაკვეთს მოიცავს. იგი იწყება თბილისი-წითელი ხიდის გზის მე-14 კილომეტრიდან 56 მეტრში. ე.ი. 13+944 კმ-ზე, შესაბამისად პიკეტზე 105+00 და მთავრდება რუსთავის შესასვლელამდე 400 მეტრში, 20+550 კმ-ზე, შესაბამისად პიკეტზე 171+00. საპროექტო გზის ღერძი გადის არსებული გზის მარჯვენა გვერდულზე. ამ მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 6.6 კმ-ს და იგი მთლიანად მდებარეობს გარდაბანის რაიონში.

1.2 სამშენებლო სამუშაოები და პროექტის მიმდინარეობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

პროექტის სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორია Sinohydro Corporation Limited (ჩინეთი). მასთან კონტრაქტი გაფორმდა 2014 წლის 10 მარტს. იმისათვის, რომ განხორციელებულიყო მშენებლობის ზედამხედველობა და უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროექტის მართვა და ტექნიკური დახმარება მგფ-სათვის, 2012 წლის 20 იანვარს გაფორმდა კონტრაქტი Dohwa Engineering Co.Ltd-სთან, თბილისი წითელი ხიდის გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის პროექტთან დაკავშირებული შესყიდვების, მშენებლობის მართვისა და ზედამხედველობის თაობაზე -SUTIP/C/QCBS-3.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორმა განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

- ოთხკუთხა მილხიდების მონტაჟი –პკ14.89-პკ24.07; პკ106-პკ126.50;
- ხიდებისა და გზაგამტარების მოწყობა 1 და 3 მონაკვეთებზე;
- მაგისტრალური მილსადენის გადატანა მონაკვეთზე 1;
- სადრენაჟე სისტემის მშენებლობა მონაკვეთზე 1;
- ძველი ნაგავსაყრელის სტაბილიზაცია მონაკვეთზე 1;
- ასფალტის საფარის ფრეზირება არსებული გზიდან პკ105-130;
- ბეტონის საფარის მოწყობა პკ105-171.

ივნისის ბოლოსათვის სამშენებლო სამუშაოების ფიზიკური პროგრესი დაახლოებით 65 %-ს შეადგენს.

1.3 ცვლილებები პროექტის ორგანიზაციასა და გარემოსდაცვითი მართვის გუნდში

MDF წარმოადგენს პროექტის საერთო განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას. ახალი აღმასრულებელი დირექტორი ილია დარჩიაშვილი 2015 წლის მარტში დაინიშნა. გარემოსდაცვითი საკითხების მართვა ხორციელდება MDF-ის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის მიერ, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში შეიქმნა. იმ დროისათვის გარემოს დაცვისა და განსახლების გუნდის წევრების რაოდენობა 6-დან 9-მდე გაიზარდა და ამჟამად იგი შედგება შემდეგი თანამშრომლებისაგან: სამსახურის უფროსი, 3 გარემოს დაცვის უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი, 2 განსახლების სპეციალისტი და ერთი ADB-ის ინდივიდუალური კონსულტანტი განსახლების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე წარმოადგენს გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის წევრს. ოქტომბრის თვემდე, გარემოსდაცვითი და განსახლების უსაფრთხოების გუნდი შედგებოდა 3 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების და 2 განსახლების სპეციალისტისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა ADB-ის ადგილობრივ კონსულტანტს განსახლების საკითხებში. გარემოსდაცვითი და განსახლების უსაფრთხოების გუნდს ჰყავდა გუნდის ხელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენდა MDF-ის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების საკითხებში.

MDF-ის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური ახორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების საკითხების გადაჭრას პროექტების სრული ციკლის განმავლობაში. გარემოს დაცვის სპეციალისტი (ნინო ნადაშვილი), რომელიც განპიროვნებულია ADB-ის პროექტების ზედამხედველობაზე, მიმოიხილავს პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებებს (EIAs), გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმებს (EMPs), და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმებს კონკრეტული ობიექტისათვის (SSEMPs) და ახორციელებს შესრულების ზედამხედველობას დამტკიცებული EMP-ების/SSEMP-ების, EIA-ების, და გარემოსდაცვითი სტანდარტების საფუძველზე, ADB-ის “უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის” (2009) მოთხოვნების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საზედამხედველო კომპანია DOHWA-ში გარემოსდაცვით საკითხებს მართავს გარემოს დაცვის სპეციალისტი პაატა ჭანკოტაძე, რომელიც პასუხისმგებელია ქვემოთმოყვანილზე :

- კონტრაქტორის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა შეუსატყვისობის შეტყობინებების მომზადება;
- ურთიერთობა კონტრაქტორთან და დამკვეთთან;
- დახმარების გაწევა კონტრაქტორისათვის გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებაში;
- კორესპონდენცია დამკვეთთან, კონტრაქტორთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

კონტრაქტორის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე (HSE) პასუხისმგებელი გუნდი შედგება HSE მენეჯერი ბ-ნი. იან ჩინგ ლინგისაგან და გარემოს დაცვის სპეციალისტი ბ-ნი ლაშა გორგილაძისაგან, რომელიც 2014 წლის სექტემბერში აიყვანეს სამუშაოზე. (2014 წლის ივნისი-აგვისტოს განმავლობაში კონტრაქტორის გარემოსდაცვითი სპეციალისტი იყო ბ-ნი ნიკოლოზ სოფამე).

HSE მენეჯერი პასუხისმგებელია ქვემოთმოყვანილზე:

- გარემოს დაცვის სპეციალისტის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის განხილვა;
- რეგულარული მონიტორინგის სისტემის აწყობა;
- სათანადო ფიზიკური მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- სამუშაოების გრაფიკის გადახედვა;
- საქმიანობის მიმდინარეობის განსახილველ შეხვედრებში მონაწილეობა;
- დახმარება ფაქტიური და პოტენციური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის განსაზღვრაში;
- ტენდენციების გამოყენება მონაცემების მონიტორინგისათვის, იმისათვის რომ პროგნოზირებული/განსაზღვრული იქნას შესაძლო მომავალი პრობლემები;

სამშენებლო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

- კონტრაქტში და EIA-ში მითითებული SEMP-ების და სხვა გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება;
- ყოველდღიური გარემოსდაცვითი ზედამხედველობის უზრუნველყოფა ადგილზე;
- შეტყობინება წესების დაუცველობის შესახებ და შესაბამისი ზომების გატარება;
- აღრიცხვის წარმოება: ობიექტის დღიურის და საკონტროლო სიების წარმოება, ფაილების შევსება;
- ადგილობრივ თემთან კომუნიკაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;
- შესაბამისი ნებართვების და ლიცენზიების უზრუნველყოფა და მიღება;

1.4 ურთიერთობები კონტრაქტორებთან, მფლობელთან, კრედიტორთან და ა.შ.

MDF წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ, განმახორციელებელ და გადამხდელ ორგანიზაციას. MDF პასუხისმგებელია უსაფრთხოების ყველა დავალების შესრულებაზე და იმის გარანტირებაზე, რომ პროექტის განხორციელებით გამოწვეული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი EIA-ში და შესაბამისად - IEE-ში მოცემული შემამსუბუქებელი ზომების გამოყენებით.

კონტრაქტში გაწერილი უსაფრთხოების დებულებების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი უნდა იცავდეს ყველა შესაბამის ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონსა და რეგულაციას და IEE-ში და EMP/ SSEMP-ში მითითებულ ზომებსა და მოთხოვნებს. გარემოზე ზემოქმედების მართვისათვის, და IEE-ში და EMP/SSEMP-ში გაწერილი მონიტორინგისა და შემამსუბუქებელი ზომების განხორციელებისათვის, კონტრაქტორმა უნდა ააწყოს ეფექტური მოქმედი სისტემა და წარუდგინოს ადეკვატური ანგარიშები საზედამხედველო კომპანიას (DOHWA) ამგვარი ზომების განხორციელებასთან დაკავშირებით. მშენებლობის საზედამხედველო კომპანია პასუხისმგებელია ყველა გარემოსდაცვითი საკითხის ზედამხედველობაზე პროექტის

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

განხორციელების პერიოდში. საზედამხედველო კომპანია Dowha-ს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები მოიცავს:

- (i) გზის მშენებლობის ზედამხედველობა და მონიტორინგი;
- (ii) პროექტის შესრულების, სარგებლის მონიტორინგი და ყველა სოციალურ და გერემოსდაცვით მოთხოვნასთან შესატყვისობის უზრუნველყოფა;
- (iii) მშენებელი კონტრაქტორის მიერ დეტალური SSEMP-ების მომზადების უზრუნველყოფა;
- (iv) იმის უზრუნველყოფა, რომ გარემოსდაცვითი მოთხოვნები, გზის უსაფრთხოება და მონიტორინგი ხორციელდებოდეს პროექტისათვის ჩატარებული კვლევების რეკომენდაციების, გეგმებისა და ანალიზის შესაბამისად, და ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით;
- (v) რჩევების უზრუნველყოფა და სამუშაო ადგილზე და საკლასო ტრენინგების კურსის ჩატარება MDF-ის, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ქალაქ თბილისის მენეჯმენტის უნარიანობის გასაუმჯობესებლად;
- (vi) იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორმა მოამზადოს SEMP-ები, პროექტის EIA-ში მოცემული ჩარჩო EMP-ის შესაბამისად.
- (vii) იმის უზრუნველყოფა, რომ EMP/SSEMP-ები ხორციელდება ველზე, სამშენებლო ობიექტზე.

მშენებელი კონტრაქტორი, თავის გარემოს დაცვის სპეციალისტის მეშვეობით ამზადებს ყოველთვიურ მიმდინარეობის ანგარიშებს EMP/SSEMP-ების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამგვარი ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ტიპების შესახებ, ამ საქმიანობებისათვის საჭირო ნებართვების/ლიცენზიების სტატუსის შესახებ, გამოყენებული შემამსუბუქებელი ზომების და მომწოდებლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ, კონტრაქტორების ყოველთვიური მიმდინარეობის ანგარიშები წარედგინება ტექნიკურ ზედამხედველსა და MDF-ს. თუმცა, კონტრაქტორის ყოველთვიური ანგარიშები ძალიან დაბალი ხარისხისაა და მათი წარმოდგენა მნიშვნელოვანი დაგვიანებით ხდება.

ტექნიკური ზედამხედველი ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს EMP/SSEMP-ების განხორციელების სტატუსის და კონტრაქტორის გარემოსდაცვითი შესრულების შესახებ. ეს ანგარიშები უნდა ეფუძნებოდეს კონტრაქტორის ანგარიშებს და შეიცავდეს მათი შიგთავსის ანალიზს. ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა შეაფასოს თუ რამდენად ზუსტია კონტრაქტორის ანგარიშში უზრუნველყოფილი ფაქტობრივი ინფორმაცია, შეაფასოს მათში აღმოჩენილი ნებისმიერი ჩავარდნები, და შეაფასოს კონტრაქტორის მიერ გამოყენებული შემამსუბუქებელი ზომების ადეკვატურობა.

ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა გამოკვეთოს EMP/SSEMP-ებთან შეუსატყვისობის ნებისმიერი შემთხვევა, უზრუნველყოს ინფორმაცია კონტრაქტორის მიერ წამოჭრილ ან თვით ზედამხედველის მიერ გამოაშკარავებულ მწვავე საკითხებზე, და შემოგვთავაზოს შემასწორებელი ზომები. თუმცა, საქმიანობების მიმდინარეობის ანგარიშები საზედამხედველო კომპანია Dowha-ს მიერ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დაგვიანებით და ჯერჯერობით არ შეესატყვისება ზემოხსენებულ მოთხოვნებს. ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და რა არის სისტემატიზირებული. ანგარიშები არ მოიცავს საზედამხედველო საქმიანობების დეტალებს და მათში შეჯამებული არ არის ყოველკვირეული და/ან ყოველთვიური მონიტორინგის შედეგები. საანგარიშგებო

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

პერიოდის განმავლობაში, საზედამხედველო კომპანიამ წარმოადგინა ხუთი სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიში. 1 – 31 იანვრის პერიოდისათვის - 2015 წლის 20 თებერვალს, 1-28 თებერვლის პერიოდისათვის - 2015 წლის 20 მარტს; 1-31 მარტის პერიოდისათვის - 2015 წლის 13 მაისს; 1-30 აპრილის პერიოდისათვის - 2015 წლის 04 ივნისს; 1 – 31 მაისის პერიოდისათვის - 2015 წლის 03 ივლისს.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, ინჟინრისა და კონტრაქტორის გარემოს დაცვის სფეროს წარმომადგენლები ყოველდღიურად ატარებენ გარემოსდაცვით შეხვედრებსა და ობიექტების ინსპექტირებას. არსებითი შეუსატყვისობების აღმოჩენის შემთხვევაში, ინჟინერი ავსებს შეუსატყვისობის ანგარიშის ფორმას და მას ოფიციალურად უგზავნის კონტრაქტორს. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც ვერ უმკლავდება HSE დეპარტამენტი, განხილვას ექვემდებარება ყოველკვირეულ შეხვედრებზე. საგანგებო ვითარებაში, კონტრაქტორი ოფიციალურად ითხოვს დახმარებას დამკვეთისაგან და დამკვეთი თავის კომპეტენციის ფარგლებში მიმართავს შესაბამის სამინისტროებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას.

სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მყისიერად ატყობინებენ სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო კომპანია Dowha-ს და მათი მეშვეობით MDF-ის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების გუნდს, რათა მოხდეს ძალისხმევის კოორდინირება და ოპერატიულად იქნას უზრუნველყოფილი ზემოქმედების შემსუბუქება, გარემოს დაცვა და ადგილობრივი საზოგადოების ჯანდაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

MDF უზრუნველყოფს ყველაწარმოებელი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, და ხელს უწყობს პროექტების ზედამხედველობას გარემოსდაცვითი კუთხით. MDF თავისი გარემოს დაცვის სპეციალისტის მეშვეობით EMR-ებით ახორციელებს სამშენებლო სამუშაოების გარემოსდაცვითი შესატყვისობის სტატუსთან დაკავშირებით ანგარიშგებას ADB-ის წინაშე ყოველ 6 თვეში ერთხელ.

II ნაწილი. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

MFF 2655-GEO: SUTIP T2 -თან დაკავშირებით EARF-ში¹ მითითებულია, რომ EMP წარმოადგენს პროექტის საერთო მონიტორინგის და ზედამხედველობის შემადგენელ ნაწილს, რასაც განახორციელებს კონტრაქტორი, ზედამხედველი კონსულტანტის (ინჟინრის) და MDF-ის მეთვალყურეობის ქვეშ.

EMP წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს. MDF-ის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ კონტრაქტორმა და მისმა ზედამხედველმა ორგანიზაციამ სამშენებლო სამუშაოები EMP/SSEMP-ების შესაბამისად აწარმოონ.

მონიტორინგის ზომები მოიცავს სამშენებლო ობიექტის ზედამხედველობას, ნებართვების კონტროლს, კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესატყვისობის მონიტორინგს და გარემოზე ზემოქმედების ისეთი კონკრეტული ასპექტების მონიტორინგს, როგორცაა ხმაური, მტვერი, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, გამონახობა და ა.შ.

EMP/SSEMP-ების მოთხოვნების საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების

¹ EARF განახლებულ იქნა 2015 წლის აპრილში,

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

განხორციელებისას ზედამხედველი და მშენებელი კომპანიების მიერ მონიტორინგსა და მართვას დაექვემდებარა შემდეგი გარემოსდაცვითი საკითხები: ნიადაგის ზედა ქვედა ფენების განკარგვა, მილხიდების მონტაჟი, ხმაური და ჰაერის დაბინძურება და ა.შ.

- ნიადაგის ზედა ფენის შენახვა

ტრასის მე-3-ე მონაკვეთიდან მოხსნილი ნიადაგის ზედა ფენა ტრანსპორტირებული იქნა კერძო მიწის ნაკვეთში, რომლის მფლობელთანაც მოხდა სიტყვიერი შეთანხმება. კონტრაქტორმა ინსტრუქციის თანახმად წერილობითი შეთანხმება გააფორმა მიწის მფლობელთან. არსებული გზიდან მოხსნილი ფრეზირებული ასფალტი შენახული იქნა სამშენებლო დერეფნის ფარგლებს გარეთ არსებულ ნიადაგის ზედა ფენაზე. ინჟინრის ინსტრუქტაჟის შესაბამისად, ფრეზირებული ასფალტი გატანილი იქნა და დასაწყობდა SSEMP-ის თანახმად.

- ქვენიადაგის განკარგვა

მე-3-ე მონაკვეთისათვის კონტრაქტორმა გააფორმა ხელშეკრულება კერძო ნაკვეთის მფლობელთან და ქვენიადაგს ამ ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე განათავსებდა. 2014 წლის სექტემბერში თბილისი მერიამ კონტრაქტორს მისცა ნებართვა ნათხარი მასალის გატანაზე 1-ლი მონაკვეთის პიკეტზე 20. 2014 წლის ოქტომბრიდან კონტრაქტორი ნათხარ ქვენიადაგს განკარგავს SSEMP-ისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- კარიერები

კონტრაქტორმა წარმოადგინა ლიცენზიები No1002016, No1002015 და No1001909 3 კარიერისათვის. საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი კარიერების განკარგვის გეგმები წარმოდგენილი იქნა ინჟინრის მიერ. კონტრაქტორს მიეცა დირექტივა თითოეული კარიერისათვის SSEMP ფორმატში მოემზადებინა კარიერების განკარგვის გეგმები (BPTPs).

- ხმაური

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას ხმაურის დონე ნორმების შესატყვის ფარგლებში იყო. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კონტრაქტორმა ხმაურის დონე 3-ჯერ შეამოწმა დასახლებების სიახლოვეს (იხ. დანართი 3.5. გაზომვები). 2015 წლის მარტიდან მაისამდე მიღებული მონაცემების თანახმად, მოპოვებული შედეგები არ აჭარბებდა მაქსიმალური დასაშვები ხმაურის დონის ეროვნულ გარემოსდაცვით სტანდარტს სამშენებლო სამუშაოებისათვის.

- ჰაერის დაბინძურება

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, PM-ის კონცენტრაცია გარემოს ჰაერში ნორმების შესატყვისი იყო. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კონტრაქტორმა 3-ჯერ გააკონტროლა PM-ის კონცენტრაცია დასახლებების სიახლოვეს (იხ. დანართი 3.5. გაზომვები). 2015 წლის მარტიდან მაისამდე მიღებული მონაცემების თანახმად, მოპოვებული შედეგები არ აჭარბებდა მაქსიმალური დასაშვები მტვრის დონის ეროვნულ გარემოსდაცვით სტანდარტს სამშენებლო სამუშაოებისათვის.

- მტვერი და ემისიები

ქვე-ნიადაგის ტრანსპორტირებისას კონტრაქტორი იყენებს ღია საბარგულიან სატვირთო მანქანებს. კონტრაქტორს მიეცა ინსტრუქტაჟი დაფაროს ყველა სატვირთო მანქანა ფხვიერი მასალის ტრანსპორტირებისას. 2015 წლის ივნისში კონტრაქტორმა დაამონტაჟა საფარები ყველა მანქანაზე.

ორივე ბეტონის ქარხნის, გარაჟისა და კოჭების ქარხნისათვის კონტრაქტორმა მოამზადა “გარემო ჰაერში სახიფათო მასალების ემისიების ინვენტარიზაცია” და შეათანხმა დაანგარიშებული ემისიები საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან“.

- ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღრიცხული არ იქნა წითელ წიგნში შეტანილი სახეობების უკანონოდ დაზიანების არც ერთი შემთხვევა. კომპენსაციის გეგმა (წითელ წიგნში აღრიცხული ხეების ჭრის ნებართვის პირობების მოთხოვნა) კონტრაქტორის მიერ მომზადდა და 2014 წლის დეკემბერში წარდგენილი იქნა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის. კომპენსაციის გეგმები ჩვეულებრივი ხეებისათვის მომზადდება ტექნიკური სპეციფიკაციების ცვლილების შემდეგ, რაც ამჟამად განხილვის პროცესშია.

- ბალახის დათესვა

ამჟამად არ გამოიყენება. ბალახის დათესვა განხორციელდება ფერდობების ნიადაგის ზედა ფენით დაფარვისთანავე.

- ხეების დარგვა

ამჟამად არ გამოიყენება. ხეების დარგვა იგეგმება წითელ წიგნში შეტანილი და ჩვეულებრივი ხეებისათვის საკომპენსაციო გეგმების დამტკიცების შემდეგ.

- ასფალტის ქარხანა

ასფალტის ქარხანა სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაამონტაჟდება 2015 წლის ივლისში. გარემოსდაცვითი ნებართვა მიღებულია გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსაგან. იმის გამო, რომ დასახლება ასფალტის ქარხნიდან 500მ-ზე უფრო ახლო მანძილზე მდებარეობს, კონტრაქტორზე გაცემული იქნა დირექტივა, თვეში სამჯერ გაზომოს PM-ის კონცენტრაცია ასფალტის ქარხნის და დასახლებული პუნქტის ირგვლივ.

- ნარჩენების განკარგვა

კონტრაქტორმა გააფორმა ხელშეკრულებები (ხელი მოაწერა კონტრაქტებს) კომპანიებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განკარგვაზე. არასახიფათო ნარჩენები გროვდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სპეციალურ 1.5m³-იან კონტეინერებში და კვირაში ორჯერ გააქვთ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები გროვდება კონტეინერებში, რომელიც გააქვთ დახურულ შენობაში. სახიფათო ნარჩენების უმეტესი ნაწილი ხელახლა გამოიყენება (გამოყენებული ზეთი იხმარება

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

კოჭების ფორმების შესაზეთად, გამოყენებული ელექტროაკუმულატორები იგზავნება მომწოდებელთან).

კონტრაქტორებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია და კონტრაქტების თარიღები და ნომრები ქვემოთ არის მოყვანილი:

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის – შპს „კენარი“, კონტრაქტის ნომერი: N GEO-TR-QT-12 01.07.2014;

სახიფათო ნარჩენებისათვის - სს „სარინი“, კონტრაქტის ნომერი: N GEO-TR-QT-25 13.11.2014. „სარინს“ გააჩნია გარემოს დაცვის სამინისტროს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა ნარჩენების განკარგვასა და სახიფათო ნარჩენების შენახვაზე;

ჩამდინარე წყლებისათვის - ინდემწარმე "დავით გოზალიშვილი", კონტრაქტის ნომერი: N GEO-TR-QT-24 20.10.2014. „დავით გოზალიშვილს“ გააჩნია რეგიონული საკანალიზაციო სისტემის ჩამდინარე წყლების განკარგვის ნებართვა.

- არქეოლოგია

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

- ინციდენტები, უბედური შემთხვევები და მსგავსი სიტუაციები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული არ იქნა არცერთი ინციდენტი.

- ტრეინინგები

2015 წლის მარტში, RETA 8663-ის ფარგლებში ჩატარდა ტრეინინგი გარემოსდაცვით უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. 2015 წლის 7 ივლისს, RETA 8663 და 7433-ის ფარგლებში ჩატარდა საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმთან დაკავშირებული ტრეინინგი.

- ნიადაგის და წყლის დაბინძურება (დაბინძურების თავიდან აცილება)

კონტრაქტორმა არ დააყენა მეორადი შემაკავებელი კონტეინერები საწვავის კასრების, დიზელგენერატორებისა და ბეტონის დანამატის კონტეინერების ქვეშ.

MDF -ისა და ზედამხედველი კომპანიისაგან კონტრაქტორს რამოდენიმეჯერ მკაცრად მოეთხოვა დაეყენებინა მეორადი შემაკავებელი კონტეინერები ყველა იმ მოწყობილობის ქვეშ, რომელიც სახიფათო მასალებსა და სითხეებს შეიცავს. საზედამხედველო კომპანია "Dowha"-მ მათ გაუგზავნა ოფიციალური წერილობითი გაფრთხილება, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 23 ივნისით, რომლითაც იგი კონტრაქტორს ატყობინებს, რომ შემდეგი შუალედური გადახდის სერტიფიკატიდან გამოუქვითავს 74, 400 ლარს, იმ შემთხვევაში, თუ დაბინძურების პრევენციის საკითხი არ გაუმჯობესდება 7 დღის განმავლობაში. კერძოდ კი:

- წყალგაუმტარი ნაგებობის მშენებლობა საწვავისა და ბეტონის დანამატების სათანადოდ დასაწყობებისათვის -40.000 ლარი;
- მეორადი შემაკავებელი კონტეინერის მოწყობა გასამართი სადგურისათვის - 12.000 ლარი;
- სატვირთო მანქანების დაფარვა - $16,00 \times 14 = 22,400$ ლარი.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

კონტრაქტორმა პირობა დადო, რომ სიტუაციას ივლისის შუა რიცხვებისათვის გააუმჯობესებს.

2. III ნაწილი: გარემოსდაცვითი მართვა

2.1 გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, SEMP-ები და სამუშაოების გეგმები

IEE-ები, EMP-ების ჩათვლით, კონტრაქტების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მათი განხორციელება კონტრაქტორებისათვის სავალდებულოა. EMP-ები იმგვარად არის შედგენილი, რომ თავიდან იქნას აცილებული, შემცირდეს ან მინიმუმამდე მაინც იქნას დაყვანილი პროექტის განხორციელებით და ექსპლუატაციით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.

MDF დიდ ყურადღებას უთმობს Dohwa-ს, რათა მან გაამდიდროს თავის საქმიანობა, როგორც ზედამხედველმა ორგანიზაციამ. რეგულარულად იმართებოდა ყოველკვირეული/ყოველთვიური შეხვედრები, როგორც მენეჯმენტის მაღალ ეშელონებთან, ისე მათ გარემოს დაცვის სპეციალისტებთან. Dohwa-სათვის გაგზავნილია მრავალრიცხოვანი შეტყობინებები, რომლითაც MDF მოუწოდებს მათ უფრო ეფექტური გახადონ საზედამხედველო საქმიანობა პროექტის გარემოსდაცვითი საკითხების მართვის გასაუმჯობესებლად.

SSEMP-ები ბანაკისათვის, და 1 და 3 მონაკვეთებისათვის მომზადებული იქნა კონტრაქტორის მიერ და დამტკიცდა ინჟინრის მიერ გარკვეული პირობების გათვალისწინებით (28.05.2014). განხორციელდა ცვლილებები და 1 და 3 მონაკვეთების SSEMP-ები დამტკიცებულ იქნა 15.07.2014, ხოლო ბანაკის SSEMP დამტკიცებულ იქნა 30.07.2014.

გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ასფალტის ქარხნის მონტაჟი ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება. გარემოსდაცვითი ნებართვების მოსაპოვებელი დოკუმენტაციის მოსამზადებლად კონტრაქტორმა გააფორმა ხელშეკრულება გარემოსდაცვით საკონსულტაციო კომპანიასთან შპს “Eco Consulting Group” (კონტრაქტის ნომერი: GEO-TR-QT-22 01.07.2014). კონტრაქტორმა მოამზადა ყველა საჭირო დოკუმენტი და ასფალტის ქარხნისათვის აიღო გარემოსდაცვითი ნებართვა გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან.

ხეების ჭრის სამუშაოები (წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჩათვლით მონაკვეთში 1) რომელიც EIA-ში იყო გათვალისწინებული, დასრულებულია. MDF-ის გარემოსდაცვითი გუნდის დიდი ძალისხმევით შედეგად, კონტრაქტორმა ხეების ჭრის სამუშაოების დაწყებამდე მოამზადა ხეების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

2014 წლის დეკემბერში, პირველ მონაკვეთში მოჭრილი წითელ ნუსხაში შეტანილი ხეების აღდგენის საკომპენსაციო პაკეტი მომზადდა და დასამტკიცებლად წარედგინა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. 2015 წლის 13 მაისს, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან გაიგზავნა საპასუხო წერილი, რომლითაც სამინისტრო ითხოვს რომ კონტრაქტორმა გარკვეული ცვლილებები შეიტანოს დოკუმენტში და ხელახლა წარმოადგინოს იგი. სამინისტროს მთავარი მოთხოვნა მდგომარეობს მოვლისა და მომსახურების პერიოდის 3-დან 5 წლამდე გაზრდაში და ხეების დარგვის ზუსტი თარიღების განსაზღვრაში. ამჟამად მიმდინარეობს პირველ და

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

მესამე მონაკვეთებში მოჭრილი ჩვეულებრივი ხეების აღდგენის გეგმების მომზადება. ორივე აღდგენის გეგმა მზად იქნება ტექნიკური სპეციფიკაციების შესწორების შემდეგ, რაც ასევე მომზადების პროცესშია. პირველი და მესამე მონაკვეთების აღდგენის გეგმებს EMP-ის შესაბამისად ან კონტრაქტორი მოამზადებს, ან თვითონ MDF, და ეს გეგმები შეთანხმებული იქნება ყველა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.

ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია სხვადასხვა მართვის გეგმების სტატუსებთან დაკავშირებული ინფორმაცია:

მართვის გეგმების სტატუსი:

მართვის გეგმა	სტატუსი
სამშენებლო ბანაკის SEMP	დამტკიცებულია
სამშენებლო დერეფნის SEMP	დამტკიცებულია
ნარჩენების მართვის გეგმა	დამტკიცებულია
გადაუდებელი რეაგირების მართვის გეგმა	დამტკიცებულია
დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმა	დამტკიცებულია
საზოგადოებასთან კომუნიკაციის მართვის გეგმა	დამტკიცებულია
კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა	დამტკიცებულია
აღდგენის მართვის გეგმა	აღდგენის მართვის გეგმა წარმოდგენილი იქნება ტექნიკური სპეციფიკაციების ცვლილებების შემდეგ
კარიერებისა და სამტეხლოების სიტუაციური გეგმა (პროექტი) და შემოთავაზებული სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიური მეთოდის ფორმულირება (მტვრევის ტექნოლოგია, ნარჩენების მინიმინიზაციის ზომები) და მასალების ტრანსპორტირება	დამტკიცებულია
გამწვანების გეგმა	კონტრაქტორის მიერ მომზადებულია და მოწოდებულია 2015 წლის 12 ივნისს; თუმცა იგი არ დაამტკიცა ზედამხედველმა, რადგანაც ეს გეგმა არ მოიცავდა ნაგავსაყრელის გამწვანების საკითხს. კონტრაქტორმა უნდა შეასწოროს გამწვანების გეგმა და ხელახლა წარადგინოს იგი 2015 წლის ივლისში.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ:

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

გარემოსდაცვითი ნებართვები და ლიცენზიები:

საქმიანობის აღწერა	სტატუსი	კომენტარი
ხეების ინვენტარიზაცია გასხვისების ზოლის ფარგლებში	დასრულებულია	
პირველ მონაკვეთზე არსებული ჩვეულებრივი ხეების ჭრის ნებართვა	არსებულია	მიღებულია ნებართვა ქალაქ თბილისის მერიიდან;
პირველ მონაკვეთზე არსებული წითელ ნუსხაში შეტანილი ხეების ჭრის ნებართვა	არსებულია	მიღებულია ნებართვა
მესამე მონაკვეთზე არსებული ხეების ჭრის ნებართვა	არ არსებობს	კონტრაქტორმა მესამე მონაკვეთზე ხეები მოჭრა გარდაბნის მუნიციპალიტეტთან შეუთანხმებლად. კონტრაქტორმა მიიღო ხეების მოჭრის ნებართვა საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან, მათი კომპეტენციის ფარგლებში . ინჟინერმა არ დაამტკიცა ხეების მოჭრა მესამე მონაკვეთზე.
ნათხარის განკარგვის ხელშეკრულება	არსებულია	მიწის კერძო მესაკუთრესთან გაფორმდა ხელშეკრულება მესამე მონაკვეთზე ნათხარის გატანის თაობაზე; მერიიდან მიღებულია ლიცენზია პირველ მონაკვეთზე ნათხარის გატანის თაობაზე
ნიადაგის ზედა ფენის განკარგვის ხელშეკრულება	არ არსებობს	სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტორმა გაიტანა ნიადაგის ზედა ფენა და დასაწყობა იგი გასხვისების ზოლის გასწვრივ მდებარე კერძო მიწის ნაკვეთზე. წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.
გარემოსდაცვითი ნებართვა ასფალტის ქარხნისათვის	არსებულია	გარემოსდაცვითი ნებართვა ასფალტის ქარხნისათვის მიღებულია გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან
ბეტონის ქარხნიდან სახიფათო ნივთიერებების გარემო ჰაერში ემისიის ინვენტარიზაცია	არსებულია	დოკუმენტი მოამზადა ქვე-კონტრაქტორმა და დაამტკიცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ
კოჭების ქარხნიდან და გარაჟიდან სახიფათო ნივთიერებების გარემო ჰაერში ემისიის ინვენტარიზაცია	არსებულია	დოკუმენტი მოამზადა ქვე-კონტრაქტორმა და დაამტკიცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

ლიცენზია კარიერისათვის	არსებულია	კონტრაქტორმა შეისყიდა 3 ლიცენზირებული კარიერი (ლიცენზია №1002016, №1002015 და 1001909). მასალების მთლიანი მოცულობა შეადგენს 510,400 მ ³ .
შეთანხმება ეკონომიკის სამინისტროსთან სამშენებლო ბანაკის, ასფალტისა და ბეტონის ქარხნების ასაშენებლად მიწის იჯარით აღების თაობაზე	ნაწილობრივ	მიწის ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო ტიპისაა - მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო იქნება სტატუსის შეცვლა
საყოფაცხოვრებო ნარჩენების განკარგვა	არსებულია	01.07.2014 გაფორმდა კონტრაქტი ქვეკონტრაქტორთან (შპს "კენარი").
სამშენებლო ნარჩენების განკარგვა	ნაწილობრივ	სამშენებლო ნარჩენები დროებით ინახება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. შემოთავაზებულია მისი ნათხართან ერთად გატანა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებულ ადგილას.
სახიფათო ნარჩენები	არსებულია	კონტრაქტორმა გააფორმა კონტრაქტი ლიცენზირებულ კომპანია „სარინი“-სთან, რომელიც პასუხისმგებელია სახიფათო ნარჩენების განკარგვაზე.

2.2 ობიექტის ინსპექტირება და აუდიტი

ობიექტის ზედამხედველობა და ინსპექტირება, ისევე როგორც სამშენებლო სამუშაოების შესატყვისობის მონიტორინგი, EMP/SSEMP-ების მოთხოვნების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს. სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიების გარემოსდაცვითი მართვის გუნდები ახორციელებენ მუდმივ საზედამხედველო საქმიანობასა და პროექტის შესრულების რეგულარულ მონიტორინგს.

MDF უდიდეს ყურადღებას უთმობს გარემოსდაცვითი საკითხების მონიტორინგს, რასაც ახორციელებს Dohwa -სა და Sinohydro-ს მენეჯმენტთან და გარემოსდაცვით გუნდთან რეგულარული შეხვედრების მეშვეობით. MDF-ის გარემოს დაცვის სპეციალისტმა 22 ვიზიტი განახორციელა ობიექტზე, იმისათვის, რომ უზრუნველყო კონტრაქტორის მიერ იმის აღქმა, თუ რა უნდა გააკეთოს პროექტის განხორციელების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი გარემოსდაცვითი საკითხის გადასაჭრელად. Dohwa-ს რამოდენიმე შეტყობინება გაეგზავნა, იმის თაობაზე რომ მას გამოესწორებინა ზედამხედველობის ზომები გარემოსდაცვითი მართვის გასაუმჯობესებლად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტმა 69 ვიზიტი განახორციელა ობიექტებზე, და 5 შეუსატყვისობის შეტყობინება გამოსცა. კონტრაქტორმა ყველა შეუსატყვისობა დანიშნულ ვადებში გამოსწორა.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

სამშენებლო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი ობიექტზე კვირაში სამჯერ გადის და რეგულარულად ახორციელებს სამშენებლო საქმიანობის ინსპექტირებას. იგი ინსპექტირებას აწარმოებს საკონტროლო სიების თანახმად. შევსებული საკონტროლო სიები ხელმისაწვდომია ბანაკის ტერიტორიაზე.

შეუსატყვისობის შეტყობინებები და შემასწორებელი ზომები

წარმოდგენის თარიღი	შეუსატყვისობის აღწერა	არეალი	საჭირო შემასწორებელი ზომა	ბოლო ვადა	განხორციელებული შემამსუბუქებელი ზომები
04.02.2015	არსებული გზიდან მოფრეზილი ასფალტი გატანილი იქნა გასხვისების ზოლის გარეთ და დაფარა ორი ხე.	პიკეტი 116.50	შენახული მასალის გატანა ინჟინრის მიერ დამტკიცებულ ადგილას	10.02.2015	მოფრეზილი ასფალტი გატანილი იქნა
13.02.2015	სატვირთო მანქანები, რომლითაც ნათხარი მიწა გააქვთ პიკეტიდან 40, ტალახით აბინძურებს არსებულ მაგისტრალს	პიკეტი 40	საქმიანობის შეჩერება, სათანადო საბურავების სარეცხი სისტემის დამონტაჟებამდე	დაუყოვნებლივ 3	აიკრძალა წვიმიან ამინდში ნათხარის ტრანსპორტირება დაბინძურებული ობიექტებიდან
23.06.2015	გამოყენებული საწვავის კასრების გატანა ხდება მეორადი შემაკავებელი კონტეინერების გარეშე.	პიკეტი 115 (სამშენებლო ბანაკი)	სახიფათო მასალების შემცველი კონტეინერების გატანა SEMP-ის შესაბამისად	07.07.2015	არ გაუმჯობესებულა (ბოლო ვადამდე დარჩენილია 7 დღე)
23.06.2015	დიზელის კონტეინერის გატანა ხდება მეორადი შემაკავებელი მოწყობილობის გარეშე.	პიკეტი 115 (სამშენებლო ბანაკი)	საწვავით გასამართი სადგურის ორგანიზება დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმის შესაბამისად	07.07.2015	არ გაუმჯობესებულა (ბოლო ვადამდე დარჩენილია 7 დღე)
23.06.2015	გასამართი სადგურის სიახლოვეს მდებარე დარბაზში დაღვრილი იყო გამოყენებული საწვავი	პიკეტი 115 (სამშენებლო ბანაკი)	დაბინძურებული ნიადაგის აღება და მისი განკარგვა დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმის შესაბამისად	დაუყოვნებლივ 3	დაბინძურებული ნიადაგი აღებული იქნა და დროებით დასაწყობდა დახურულ საწყობში მდებარე კასრში

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

კონტრაქტორმა ინსტრუქციის თანახმად უნდა გააუმჯობესოს ქვემოთმოყვანილი გარემოსდაცვითი საკითხები:

- გააუმჯობესოს მტვრის კონტროლის ზომები;
- გააუმჯობესოს ნარჩენების განკარგვის საკითხები სამშენებლო ბანაკში;
- მოამზადოს და ინჟინერს წარუდგინოს/ხელახლა წარუდგინოს მართვის გეგმები (გამწვანების გეგმა, კომპენსაციის გეგმები), რომლებიც მითითებულია EIA-ში და კონტრაქტის ტექნიკურ სპეციფიკაციებში;
- სახიფათო მასალების შემცველი კონტეინერების განკარგვა SEMP-ის შესაბამისად.

MDF, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია აღიარებს თავის პასუხისმგებლობას მშენებლობის პროცესით განპირობებულ საკითხებთან მიმართებაში და შზად არის ამ პრობლემების გადასაჭრელად შეიმუშაოს და განახორციელოს შესაბამისი ზომები მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში. MDF-ის გარემოსდაცვითი და განსახლების სამსახური სამუშაოების მიმდინარეობისას ახორციელებს გარემოსდაცვითი შესრულების და უსაფრთხოების საკითხების პერმანენტულ მონიტორინგს. საზედამხედველო კომპანია “DOHWA”-ს და კონტრაქტორ კომპანიას გაეგზავნა რამდენიმე გამაფრთხილებელი წერილი, სადაც ხაზგასმულია HSE მოთხოვნებთან შესატყვისობის მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე შემთხვევაში კონტრაქტორისა და ზედამხედველის მიერ განხორციელებული ზომები არასაკმარისი, არაეფექტური და კონკრეტული ვადების შეუსატყვისი აღმოჩნდა.

ADB-ის გარემოსდაცვითი შესატყვისობის უზრუნველყოფის მისიამ, რომელიც 2015 წლის 30 აპრილიდან 8 მაისამდე პერიოდში ხორციელდებოდა, მონახულა საპროექტო ობიექტები და ჩაატარა შეხვედრები MDF-თან, პროექტირების, შესყიდვების და მშენებლობის მართვის (EPCM) კონსულტანტთან (ინჟინერთან) და კონტრაქტორთან და მიმოიხილა გარემოსდაცვითი შესრულება პროექტის განხორციელებისას. საპროექტო ობიექტებზე არსებული სიტუაცია შეფასდა როგორც „შესატყვისი, რომელიც საჭიროებს შემდგომ ღონისძიებებსა და მონიტორინგს“.

ADB-ის 2015 წლის აპრილ-მაისის მისიის დასკვნების ასახვისათვის გატარებული ღონისძიებები:

MDF-ისა და ზედამხედველი კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გატარებული მონიტორინგის ზომები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისიის დასკვნებთან, სადაც ცხადად არის მითითებული შემდგომი განსახორციელებელი ზომები გარემოსდაცვითი უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად პროექტის ფარგლებში.

ADB-ის მისია ეწვია და მიმოიხილა (30 აპრილი, 2015) პროექტის ფარგლებში პირველ და მესამე მონაკვეთებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები და უზრუნველყო ქვემოთმოყვანილი დასკვნები:

N	ADB-ის მისიის შენიშვნები	სტატუსი და გატარებული ღონისძიებები
1.	ასფალტის ქარხნისათვის გარემოსდაცვითი ნებართვა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წლის მარტში იქნა გაცემული. რადგანაც მანძილი ასფალტის ქარხანასა და სამშენებლო ბანაკში მდებარე	ასფალტის ქარხნის ექსპლოატაცია ჯერ არ დაწყებულა. ასფალტის ქარხანა დამონტაჟდება და ფუნქციონირებას დაიწყებს 2015 წლის ივლისში. ასფალტის ქარხანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

	<p>მუშების საერთო საცხოვრებელს შორის 400მ-ით ნაკლებია იმაზე, რაც მითითებულია IEE-ში, მისიამ მოითხოვა, რომ Dohwa-მ მონიტორინგი გაუწიოს დამატებით შემამსუბუქებელ ზომებს და თვეში სამჯერ - ჰაერის ხარისხს ასფალტის ქარხანაში.</p>	<p>დაიწყება მისი დამონტაჟებისთანავე, რაც მოხდება თვეში სამჯერ ჰაერის ხარისხის განსაზღვრის მეშვეობით.</p>
<p>2.</p>	<p>კონტრაქტორმა შეისყიდა 3 კარიერი იმ კომპანიებისაგან, რომლებსაც ხელთ აქვთ ქვიშისა და ხრემის მოპოვების ლიცენზიები. ლიცენზიები ხელმისაწვდომია რუსთავის სამშენებლო ბაზაზე. კონტრაქტორმა მოამზადა კარიერების განკარგვის გეგმები (BPTP) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. წლიური ანგარიში თითოეული კარიერისათვის უნდა მომზადდეს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და წარდგენილი იქნას გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის. უკანასკნელი წლიური ანგარიში 2015 წლის 1 მაისისათვის უნდა მომზადდეს. მისია სთხოვს შედამხედველ კომპანიას რომ მან კონტრაქტორს უხელმძღვანელოს იმისათვის, რომ BPTP-ები მისაღები იყოს, როგორც SEMP და რომ ეს საკითხი აისახოს კვარტალურ და ნახევარწლიან EMR-ებში.</p>	<p>კონტრაქტორმა ინსტრუქციის თანახმად უნდა შეცვალოს კარიერების განკარგვის გეგმები (BPTP-ები) SEMP ფორმატში და დოკუმენტები ინჟინერს წარუდგინოს. თითოეული კარიერის SEMP მომზადდება 25.07.2015-ისათვის.</p>
<p>3.</p>	<p>ნარჩენების განკარგვა დამაკმაყოფილებელი პრაქტიკით ხორციელდება, იგი კონტრაქტით გაცემულია ლიცენზირებულ კომპანიებზე: 01.07.2014 რიცხვში შპს „კენართან“ გაფორმდა კონტრაქტი მუნიციპალური ნარჩენების გატანაზე კვირაში ორჯერ სამშენებლო ბანაკში არსებული კონტეინერებიდან. სახიფათო ნარჩენები ორმაგ კონტეინერებში ეწყობა და მას განკარგავს სს „სარინი“, რომელთანაც კონტრაქტს 2014 წლის 13 ნოემბერს მოეწერა ხელი. სეპტიკური ავზი დამონტაჟებულია სამშენებლო ბანაკში და კვარტალურად მას ცლის ქვე-კონტრაქტორი - ინდივიდუალური მეწარმე - დ. გოზალიშვილი.</p>	
<p>4.</p>	<p>ნიადაგის ზედა ფენის განკარგვა: ნიადაგის ზედა ფენა დროებით ინახება მესამე მონაკვეთის გასწვრივ. 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მიწის მესაკუთრესთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ნიადაგის ზედა ფენა გადატანილი იქნა კერძო მიწის ნაკვეთზე. მისი გადატანის დროს, ნიადაგის ზედა ფენის ნაწილი შეერია ქვენიდაგს. ნიადაგის ზედა ფენის მცირე</p>	

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

	<p>ნაწილი დაყრილი იქნა მესამე მონაკვეთის გზაგამატრებზე. მისიამ სთხოვა კონტრაქტორს, რომ მან მეტი ყურადღება დაუთმოს სათანადო კონტრაქტის გაფორმებას შესაბამის მიწის მესაკუთრებთან და ნიადაგის ზედა ფენის დაცვას შემდგომი აღდგენითი სამუშაოსათვის.</p>	
<p>5.</p>	<p>ნათხარი მიწის განკარგვა: მესამე მონაკვეთისათვის კონტრაქტორმა გააფორმა ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის კერძო მფლობელთან და მიწას ხსენებულ ნაკვეთზე ათავსებდა. 2014 წლის სექტემბერში, ქალაქ თბილისის მერიამ კონტრაქტორს ნება დართო მიწა პიკეტზე 20 დაეყარა. 2014 წლის ოქტომბრიდან კონტრაქტორი ნათხარ ქვენიადგას SEMP-ისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს. ამჟამად მიწის ნაწილი ტრასის გასწვრივ ინახება და მისი გამოყენება გზაგამატრების შესავსებად და მესამე მონაკვეთის გამწვანებისათვის არის დაგეგმილი. მისიამ კონტრაქტორს მოსთხოვა გამწვანების გეგმის მომზადება, რომელიც ზედამხედველმა კომპანიამ უნდა დაამტკიცოს MDF-ში წარსადგენად 2015 წლის 15 ივნისს.</p>	<p>გამწვანების გეგმა კონტრაქტორმა მოამზადა და ინჟინერს წარუდგინა 2015 წლის 12 ივნისს, თუმცა იგი არ დამტკიცდა, რადგანაც არ შეიცავდა ნაგავსაყრელის აღდგენით სამუშაოებს. კონტრაქტორმა უნდა ჩაამატოს პირველ მონაკვეთზე მდებარე ნაგავსაყრელის აღდგენის საკითხი და შესწორებული დოკუმენტი ხელახლა წარადგინოს 2015 წლის 15 ივლისისათვის.</p>
<p>6.</p>	<p>ჯანდაცვის-უსაფრთხოების მართვის გაუმჯობესება - ბოლო მისიის შემდეგ სახეზეა უმნიშვნელო გაუმჯობესება. პირველი და მესამე მონაკვეთების გასწვრივ არ არის მოწყობილი არც საკმარისი რაოდენობის ნიშნები და არც უსაფრთხოების ბარიერები. ნათხარი მიწა და სამშენებლო ნაგავი ტრასაზე არის დაყრილი; ტრანსპორტის რეგულირების ზომები არ არის შემუშავებული. საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტის მიერ მომზადებული უსაფრთხოების აუდიტის ანგარიში მოწოდებული იქნება 2015 წლის მაისის ბოლოს. მისიამ მოსთხოვა კონტრაქტორს და ზედამხედველი კომპანია ყურადღებას უთმობს რეკომენდაციების განხორციელებას და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების EMR-ებში ასახვას.</p>	<p>ტრასის გასწვრივ დამონტაჟებულია უსაფრთხოების ნიშნები, თუმცა ყველგან არა. პირველი და მესამე მონაკვეთების გასწვრივ ნიშნებისა და ბარიერების დაყენების სრულ მასშტაბში განხორციელება დაგეგმილია 2015 წლის ივლისის განმავლობაში.</p> <p>MDF-ის კონსულტანტი, რომ ჰანთერი დაქირავებულია როგორც ტექნიკური და მართვის კონსულტანტი პროექტირებისა და მშენებლობის ფაზებისათვის. კონსულტანტი ობიექტზე ვიზიტებს კვარტალურად ახორციელებს, განიხილავს დოკუმენტაციას და მეთვალყურეობას უწევს დამკვეთის, ზედამხედველი კონსულტანტისა და კონტრაქტორის საქმიანობას, და ამზადებს ობიექტის ინსპექტირების ანგარიშებს, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: დოკუმენტების მიმოხილვა და შეფასება, გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის ჩათვლით, დამკვეთის, ინჟინრის, კონტრაქტორის მართვა, ობიექტზე</p>

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

		<p>მიმდინარე საქმიანობის მეთვალყურეობა, ფიზიკური პროგრესის ჩათვლით, ინჟინრის ეფექტურობა, დამკვეთის დასწრება, მშენებლობის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი შესატყვისობა, რეკომენდაციები და ა.შ.</p> <p>ობიექტის ინსპექტირების ბოლო ანგარიში N4 ივლისში მომზადდება, 2015 წლის ივნისში განხორციელებული ობიექტზე ვიზიტის შემდეგ. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია, რომელიც ანგარიშში იქნება მოცემული, მხედველობაში იქნება მიღებული და აისახება შემდეგ EMR-ში.</p>
7.	<p>მეორადი გზა (მესამე მონაკვეთის გაწვრივ): IEE დამტკიცებულ იქნა ADB-ის მიერ და განთავსდა ვებგვერდზე. სამშენებლო სამუშაოები დაახლოებით 2015 წლის სექტემბრისათვის დაიწყება, მისაღებია ADB-ის თანხმობა LARP-თან დაკავშირებით.</p>	
8.	<p>მონაკვეთი 1: უკანონო ნაგავსაყრელი უნდა მოსწორდეს და ხეების დასარგავად დაიფაროს ნიადაგის ზედა ფენით, რათა განხორციელდეს 45 წითელ წიგნში შეტანილი ხის კომპენსირება. უნდა განხორციელდეს მტვრის ზემოქმედების შემამსუბუქებელი და მოძრაობის უსაფრთხოების ზომები.</p>	<p>ნაგავსაყრელი არ არის დაფარული. ნაგავსაყრელის დაფარვა ნიადაგის ზედა ფენით უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ.</p>
9.	<p>მისიამ მოსთხოვა MDF-ს განმარტება, დამხმარე დოკუმენტაციის მეშვეობით, ხეების ჭრის საკითხთან დაკავშირებით, რაც მოიცავს წითელ წიგნში შეტანილ 45 ხეს და სხვა ხეებსაც, რათა პასუხი გაეცათ ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის თაობაზე ანგარიშგების პროექტის მოთხოვნაზე.</p>	<p>MDF-მა მათთვის ამ საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყო დეტალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია და განმარტებები.</p>
10.	<p>საკომპენსაციო გეგმა ხეების დარგვისათვის (S1 და S3)</p>	<p>საკომპენსაციო გეგმა ინჟინერს 2015 წლის თებერვალში წარედგინა. ტექნიკურ სპეციფიკაციებთან შეუსატყვისობის გამო, გეგმა არ იქნა დამტკიცებული.</p> <p>ინჟინერი შეასწორებს ტექნიკურ სპეციფიკაციებს, და შემდგომ კონტრაქტორი მოამზადებს ახალ საკომპენსაციო გეგმებს. საკომპენსაციო გეგმები შეთანხმებული იქნება შესაბამის ორგანოებთან - თბილისის</p>

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

	მერიასთან და გარდაბნის მუნიციპალიტეტთან.
--	--

2.3 კონსულტაცია და საჩივრები

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

პროექტის ფარგლებში შემოსული საჩივრების დაკმაყოფილების პროცედურები მიზნად ისახავს ეფექტური და სისტემატური მექანიზმის უზრუნველყოფას ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების და ზოგადად მოქალაქეების მოთხოვნებზე, უკუკავშირზე და საჩივრებზე რეაგირებისათვის. პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფისათვის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და პროექტის ხელმძღვანელობას შორის, და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საჩივრების სათანადო დროის მონაკვეთში აღრიცხვისა და დაკმაყოფილებისათვის, MDF-ის ძალისხმევით შემუშავებული იქნა საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი. MDF-მა ხელი შეუწყო საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის და საჩივრებთან დაკავშირებული საკონტაქტო პუნქტების დაარსებას.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს ან ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივრები და/ან მოთხოვნები გარემოსდაცვითი შეუსატყვისობოს ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებით. კონსულტაციების მეშვეობით, ადგილობრივი თემები სრულად ინფორმირებულნი არიან საჩივრების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული თავიანთი უფლებებისა და პროცედურების შესახებ.

იმის უზრუნველყოფისათვის, რომ საჩივრებსა და პრეტენზიებზე დროულად და დამაკმაყოფილებლად მოხდეს რეაგირება, და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის ყველა შესაძლო საშუალება იყოს ხელმისაწვდომი მათი საჩივრებისა და პრეტენზიების განსაცხადებლად, სამშენებლო ბანაკში და MDF-ის ოფისში გაიხსნა საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც შესაძლებელია საჩივრების რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში ან ელექტრონულ რეესტრში (MS Excel ან მისი ანალოგი). საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალის ასლი, შესაბამისი პირების მობილურების ნომრებით ასევე განთავსებულია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში (გარდაბნისა და რუსთავის გამგეობა). საჩივრების ჟურნალი იწარმოება თითოეულ ზემოთ მითითებულ ადგილას, იმისათვის რომ განხორციელდეს საჩივრების აღრიცხვა და მათი სტატუსისათვის თვალის მიდევნება.

ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს, ან სხვა დაინტერესებულ ინდივიდებს შესაძლებლობა ექნებათ მივიდნენ, დარეკონ, ან გაუგზავნონ წერილი, ფაქსი ან ელექტრონული ფოსტა ნებისმიერ პასუხისმგებელ პირს, რათა მოახდინონ პროექტის გარემოსდაცვითი ასპექტებიდან გამომდინარე ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებული თავიანთი კომენტარების ან საჩივრების რეგისტრაცია. საჩივრები დარეგისტრირდება ან საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალში, ან ელექტრონულ რეესტრში (MS Excel ან მისი ანალოგი) და ყოველ მათგანს მიენიჭება ნომერი, შემოსვლის თარიღის მითითებით. საჩივრები შესწავლილი იქნება და თითოეულ საჩივარზე მისი დაკმაყოფილებისათვის განპიროვნებული იქნება კონკრეტული თანამშრომელი. საჩივრის რეგისტრაციის დასტურის საბუთი მომჩივანისათვის საჩივრის მიღებიდან მაქსიმუმ 7 კალენდარული

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

დღის განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი, დაახლოებით იმ დროის მონაკვეთში, რომლის განმავლობაშიც გატარებული იქნება გამასწორებელი ზომები, იმ შემთხვევაში, თუ წამოჭრილი პრობლემა რეალისტურია. ზემოხსენებული საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი არ ზღუდავს მოქალაქის უფლებას პირველივე ეტაპზე სასამართლოში წარადგინოს საქმე.

გარკვეული ძალისხმევა იქნება გამოყენებული, იმისათვის, რომ საჩივრების დაკმაყოფილება მშვიდობიანი გზით მოხდეს და არა სასამართლოს მეშვეობით გადაჭრით. ამის მიღწევა შესაძლებელია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სრული მონაწილეობით და მათთან კონსულტაციებით, და ფართო კომუნიკაციისა და კოორდინაციის უზრუნველყოფით ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებს, EA-სა და შესაბამის ადგილობრივ მმართველობებს შორის (თბილისის მუნიციპალიტეტის, რუსთავის მუნიციპალიტეტის და გარდაბნის რაიონის მუნიციპალიტეტის (გამგეობა) ჩათვლით, საჭიროებისამებრ).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით არ წამოჭრილა და არც დარეგისტრირებულა არც ერთი საჩივარი.

IV ნაწილი. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა შემდგომი პერიოდისათვის

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა შემდგომი 6 თვისათვის

N	საქმიანობის აღწერა	ზომები	განხორციელების პერიოდი	განხორციელების სტატუსი
1.	ჰაერის ხარისხის ანალიზი ასფალტის ქარხნის შემოგარენში	კონტრაქტორმა 3-ჯერ უნდა გასინჯოს ჰაერის ხარისხი ასფალტის ქარხნის შემოგარენში	ასფალტის ქარხნის აგებისთანავე	ასფალტის ქარხანა ჯერ არ არის დამონტაჟებული
2.	SEMP-ების მომზადება ყველა კარიერისათვის	კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს SEM-ები ყველა კარიერისათვის	1-ლი დოკუმენტი უნდა მომზადდეს 28.07.2015-მდე; შემდგომი SEM-ები 20.08.2015-მდე უნდა იქნას წარდგენილი ინჟინრისათვის.	კონტრაქტორმა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მოამზადა კარიერების განკარგვის გეგმები.
3.	გამწვანების გეგმის მომზადება ნაგავსაყრელებისათვის	კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს გამწვანების გეგმა გასხვისების ზოლისა და ნაგავსაყრელებისათვის	15.06.2015	გეგმა წარდგენილი იქნა 12.06.2015. თუმცა იგი არ დამტკიცდა, რადგანაც ეს გეგმა არ მოიცავდა ნაგავსაყრელის

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

				გამწვანების საკითხს. კონტრაქტორმა უნდა შეასწოროს გამწვანების გეგმა და ხელახლა წარადგინოს იგი შესწორებული სახით 2015 წლის ივლისში.
4.	ბენზოგასამართი სადგურის მოყვანა დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმასთან შესაბამისობაში	კონტრაქტორმა დიზელის ბაკი უნდა განკარგოს დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმის შესაბამისად, კერძოდ: დიზელის ბაკის განთავსება წყალგაუმტარ კონტეინერში, რომლის მოცულობაც ბაკის მოცულობის 110 %-ს შეადგენს და ბენზოგასამართი სადგურის დახურვა	15.07.2015	კონტრაქტორმა შემოიტანა ყველა საჭირო მასალა და ააშენებს მოთხოვნილ კონსტრუქციებს 15.07.2015-მდე.

რეკომენდაციების პასუხად გატარებული ზომები/ წინარე პერიოდის სამოქმედო გეგმა

N	საქმიანობის აღწერა	ზომები	განხორციელების პერიოდი	განხორციელების სტატუსი
1.	ნათხარი მიწის არაკანონიერად განთავსება მტკვრის კალაპოტში	ნაგავსაყრელის შეღობვა თბილისის მერიის ნებართვის პირობების შესაბამისად. ნარჩენი გრუნტის გატანის აკრძალვა ნაგავსაყრელის საზღვრებს გარეთ	01.03.2015	ნაგავსაყრელი შეიღობა. ნათხარი ნარჩენი გრუნტი განთავსებულია ლიცენზირებულ საზღვრებში.
2.	სახიფათო ნარჩენების და სახიფათო ნარჩენებიანი კონტეინერების	სადგარების უზრუნველყოფა ყველა სახიფათო მასალებიანი კონტეინერისათვის	25.02.2015	სახიფათო მასალები და ნავთობროდუქტები დასაწყობებულია დახურულ

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

	განთავსება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, მეორადი შემაკავებელი კონტეინერების გარეშე			შენობებში, SEMP-ის შესაბამისად. საწყობის გარეთ ნავთობის კასრების განსათავსებლად უზრუნველყოფილი არ არის სადგარები.
3.	ფხვიერი მასალის ტრანსპორტირება ღია სატვირთო მანქანებით	ფხვიერი მასალის გადამზიდავი ყველა სატვირთო მანქანის გადახურვა	15.02.2015	კონტრაქტორის ყველა სატვირთო მანქანაზე დამონტაჟდა გადახურვა. ჩვეულებრივ, მძღოლები არ იყენებენ ამ მოწყობილობას. ინჟინერმა ინსტრუქტაჟი ჩაუტარა კონტრაქტორს, რომ მან დაიცვას დაბინძურების საწინააღმდეგო წესები
4.	გადაუდებელი რეაგირების მართვის გეგმა	გეგმას მოამზადებს კონტრაქტორი და მას ინჟინერს წარუდგენს დასამტკიცებლად	25.02.2015	კონტრაქტორმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა ინჟინერის მიერ.
5.	საკომპენსაციო გეგმა ჩვეულებრივი ხეებისათვის	გეგმას მოამზადებს კონტრაქტორი და მას ინჟინერს წარუდგენს დასამტკიცებლად	30.02.2015 ტექნიკური სპეციფიკაციების შესწორების შემდეგ	კონტრაქტორმა წარმოადგინა გეგმა. იგი არ იქნა დამტკიცებული ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებთან შეუსატყვისობის გამო.
6.	ხმაურის დონის და მტვრის კონცენტრაციის გაზომვა გარემო ჰაერში ტრასის გასწვრივ,	ხმაურის დონე გაიზომება 2 თვეში ერთხელ	30.02.2015	კონტრაქტორი 2 თვეში ერთხელ ზომავს ხმაურის დონეს და მტვრის კონცენტრაციას.

დანართები

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

2.4 მონიტორინგის მონაცემები

საქმიანობა	მოთხოვნა	დღეისათვის გატარებული ზომები			მოთხოვნილი საქმიანობა/კომენტარი
მასალების მოწოდება	ოფიციალური ნებართვის ან საექსპლუატაციო ლიცენზიის ფლობა მასალების მოწოდებისათვის (ასფალტი, ბეტონი, ხრეში)	“სახიფათო მასალების გარემოში ემისიის ინვენტარიზაცია ბეტონის ქარხნისათვის”. დოკუმენტი მზადაა და დამტკიცებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ.	1-ლი ბეტონის ქარხანა	დოკუმენტი დამტკიცებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ.	კონტრაქტორმა შეისყიდა 3 ლიცენზირებული კარიერი. კარიერების განკარგვის გეგმები (BPTPs) მომზადებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმისაწვდომია ოფისში. ინჟინერმა მოითხოვა თითოეული კარიერისათვის SSEMP-ის მომზადება ADB-ის მისიის შენიშვნების შესაბამისად. SSEMP-ები მომზადდება 2015 წლის ივლისის ბოლოს. მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება ასფალტის ქარხნისათვის, რომელიც დამონტაჟდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე; მიღებული იქნა ნებართვა გარემოს დაცვის სამინისტროდან; ასფალტის ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვება დაგეგმილია 2015 წლის ივლისში.
			მე-2-ე ბეტონის ქარხანა	დოკუმენტი მომზადდება 30 დღის განმავლობაში და წარდგენილი იქნება გარემოს დაცვის სამინისტროსათვის	
			კოჭების ქარხანა და გარაჟი	დოკუმენტი მზადაა და წარდგენილია დასამტკიცებლად გარემოს დაცვის სამინისტროსათვის	
მასალების ტრანსპორტირება გრაფიკისა და მარშრუტის შესაბამისად	სატვირთო მანქანების ტვირთი გადახურვა/დანამვა	ზოგადი შესატყვისობა EMP-სთან			2015 წლის ივნისში ყველა სატვირთო მანქანაზე მოეწყო

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

			გადახურვა.
ნიადაგის ზედა ფენის მოხსნის სტადია	ნიადაგის ზედა ფენის დასაწყობება ეროზიის კონტროლი	სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ნიადაგის ზედა ფენა ტრანსპორტირებულია დროებით შენახვის ადგილიდან კერძო მიწის ნაკვეთში.	უნდა გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება მიწის მესაკუთრესთან. ნიადაგის ზედა ფენის გროვები დაცული უნდა იყოს ეროზიისაგან და ქვენიადაგთან და სხვა მასალებთან შერევისგან.
მოსახლეობისა და მუშახელის დაცვა	ხმაურის დონე	სტანდარტის შესაბამისად (კონტრაქტორთა ტევში 3-ჯერ ზომავს ხმაურის დონეს)	ხმაურის დონის პერმანენტულად გაზომვა დასახლებებისა და ხმამაღალი აღჭურვილობის სიახლოვეს, ადგილობრივი მოსახლეობისა და მუშახელის დასაცავად (პიკეტი 32.0, პიკეტი 105-129)
	მტვრისა და ჰაერის დაბინძურება (მყარი ნაწილაკები, შეწონილი ნაწილაკები, მძიმე მეტალები, ს ნაწილაკები)	ნორმების შესატყვისად (კონტრაქტორთა ტევში 3-ჯერ ზომავს PM-ის კონცენტრაციას)	დაბინძურების პრევენციის მართვის გეგმისა და EMP-ის შესრულება (სატვირთი მანქანების გადახურვა, მტვრიანი მასალების ტრანსპორტირებისას; საფარის არმქონე ყველა გზის დროულად მორწყვა, რომელზეც საპროექტო მანქანები გაივლის და ა.შ.).

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

		ვიზრაცია	სტანდარტების შესაბამისად	შემოკლებული სამუშაო დღე იმ მუშახელისათვის, რომელიც ვიზრაციულ ადჟურვილობას იყენებს
ნარჩენების განკარგვა	მასალებისა და ნარჩენების სათანადოდ დასაწყობება, განკარგვა, გამოყენება. წყლისა და ნიადაგის ხარისხი (შეკიდული ნაწილაკები, ნავთობროდუქტები და ა.შ.)	და	ნარჩენების განკარგვასთან დაკავშირებული უმეტესი საკითხები გაუმჯობესდა; გაფორმდა კონტრაქტი სახიფათო ნარჩენების განკარგვაზე პასუხისმგებელ კომპანიასთან.	სხვადასხვა ტიპის ნარჩენების ცალ-ცალკე შენახვა; თითოეული ტიპის ნარჩენების სათანადოდ განკარგვა
დაბინძურების პრევენცია	ადჟურვილობის ტექნომსახურება და საწვავით გამართვა		დაბინძურების პრევენციის მართვა გაუმჯობესებას საჭიროებს	სახიფათო ნარჩენების შემცველი ყველა კონტეინერი და კასრი, დიზელ გენერატორები, კონტეინერები ბეტონის დანამატებით, (იმ შემთხვევაში, თუ მათ არ გააჩნიათ უსაფრთხოების სერტიფიკატი ამ ისინი სახიფათოა გარემოსათვის) უნდა განთავსდეს მეორად შემაკავებელ კონტეინერებზე. კონტრაქტორმა ტრეინინგი უნდა ჩაუტაროს ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გუნდს და უზრუნველყოს მათთვის ნავთობროდუქტების შემწოვი კომპლექტები ყველა სახელოსნოსა და გასამართი სადგურისათვის (სტაციონარული და მობილური)

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

<p>ზემოქმედება არქეოლოგიურ ობიექტებზე და ნარჩენებზე; ციმბირული წყლულის საფრთხე</p>	<p>პოტენციური არქეოლოგიური ობიექტების დაცვა დაზიანებისაგან</p>	<p>შეუსატყვისობა აღრიცხული არ არის</p>	<p>შესაბამისი ტრენინგის უზრუნველყოფა ექსკავატორების ოპერატორებისა და ბრიგადირებისათვის</p>
<p>სამშენებლო ობიექტების აღდგენა</p>		<p>ა/გ</p>	

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

2.5 გაზომვები

მტვრის & ხმაურის ტესტების შედეგები 2015 წლის მარტი-მაისი პერიოდისათვის

2015 წლის მარტი

მდებარეობა	მტვერი (მგ/მ ³)						ხმაური (DB)					
	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი
პიკეტი26+00	0.037	0.034	0.035	0.035	0.054	0.05	77	79	76	77	85	75
ბანაკი	0.028	0.027	0.026	0.027	0.055	0.05	70	70	68	69	70	75
პიკეტი135+00	0.039	0.040	0.036	0.038	0.045	0.05	74	76	75	75	76	75

2015 წლის აპრილი

მდებარეობა	მტვერი (მგ/მ ³)						ხმაური (DB)					
	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი
პიკეტი26+00	0.037	0.034	0.035	0.035	0.054	0.05	77	79	76	77	85	75
ბანაკი	0.028	0.027	0.026	0.027	0.055	0.05	70	70	68	69	70	75
პიკეტი135+00	0.039	0.040	0.036	0.038	0.045	0.05	74	76	75	75	76	75

2015 წლის მაისი

მდებარეობა	მტვერი (მგ/მ ³)						ხმაური (DB)					
	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი	მე-5-ე დღე	15-ე დღე	25-ე დღე	საშუალო	ზღვარი	სტანდარტი
პიკეტი26+00	0.040	0.038	0.039	0.039	0.054	0.05	75	6	76	76	85	75
ბანაკი	0.034	0.032	0.031	0.032	0.055	0.05	70	8	66	68	70	75
პიკეტი135+00	0.036	0.038	0.036	0.036	0.045	0.05	74	74	75	74	76	75

2.6 ფოტოები



სამშენებლო ბანაკი
ნავთობროდუქტების განთავსება სადგარების
გარეშე



სამშენებლო ბანაკი
სახიფათო მასალების შემცველი
კონტეინერები დახურულ შენობაში იქნა
გადატანილი



პიკეტი 138
მოფრეზილი ასფალტი დაყრილია ნიადაგის
ზედა ფენაზე



პიკეტი 138
მოფრეზილი ასფალტი გატანილია და
გამოყენებულია მისასვლელი გზების
მოსაწყობად



კონტრაქტორის სატვირთო მანქანები,
რომლებსაც ფხვიერი მასალა გადააქვს არ არის



კარიერის ექსპლოატაცია ხორციელდება GPS
კოორდინატების ფარგლებში, რაც

გადახურული	ლიცენზიით არის მოთხოვნილი
	
<p>პიკეტი120 მოფრეზილი ასფალტი ინახებოდა გასხვისების ზოლის ფარგლებს გარეთ და ფარავდა 2 ხეს</p>	<p>პიკეტი120 მოფრეზილი ასფალტი გატანილია და გამოყენებულია მისასვლელი გზების მოსაწყობად</p>